

ზრადსრულთა მიჯაჭვულობის საკვლევი ინსტრუმენტის ქართული
ვერსია: ფსიქომეტრული მახასიათებლები

ანასტასია იაშვილი

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ბაკალავრი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**The Georgian Version of an Adult Attachment Measure: Psychometric
Properties**

Anastasia Iashvili

Bachelor of the Faculty Psychology and Education, Ivane Javakhishvili Tbilisi State University



„ფსიქოლოგია და განათლების მეცნიერებები“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა
და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ოფიციალური ელექტრონული სტუდენტური ჟურნალია.

აბსტრაქტი

მოცემული კვლევა მიზნად ისახავდა რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის (ECR-R, Fraley et al., 2000) ქართული ვერსიის მომზადებას, მისი სანდოობის, ფაქტორული სტრუქტურისა და კონსტრუქტული ვალიდობის შემოწმებას. პირველადი ქართული ვერსიის მომზადების შემდეგ, ექსპერტებმა შეამოწმეს თარგმანის კულტურული და ენობრივი შესაბამისობა და ჩატარდა პილოტირება მცირე ჯგუფში ($N = 49$). კვლევის ძირითად ნაწილში მონაწილეობა მიიღო 209 ინდივიდმა. მონაწილეების ასაკი მერყეობდა 18-65 წლებს შორის ($M=30.48$; $SD = 13.72$), სადაც 28.7 % მამაკაცი იყო, ხოლო 70.3 % ქალი. ვალიდობის შესამოწმებლად გამოყენებული იყო დამატებითი ინსტრუმენტები: ზოგადი ნდობის საკვლევი კითხვარი (YGTS; Yamagishi & Yamagishi, 1994); ურთიერთობით კმაყოფილების საკვლევი სკალა (RAS; Hendrick et al., 2011); დეპრესია, შფოთვა და სტრესი სკალები (DASS-21; Lovibond & Lovibond, 1995), რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის შინაგანი შეთანხმებულობა შეფასდა კრონბახის α მაჩვენებლით, შემოწმებისას მიჯაჭვულობის ორივე განზომილებისთვის (შფოთვა და თავის არიდება) სანდოობა აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი, კრონბახის $\alpha = 0.79$ (თავის არიდება) და 0.88 (შფოთვა). კონსტრუქტული ვალიდობის შეფასებამ აჩვენა, რომ თავის არიდებისა და შფოთვის მაღალი დონე დაკავშირებულია ურთიერთობების კმაყოფილების, თვითშეფასებისა და ზოგადი ნდობის დაბალ მაჩვენებელთან, ასევე, დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის მაღალ დონეებთან. გარდა ამისა, კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის (CFA) შედეგად აღმოჩნდა, რომ ორგანზომილებიანი მოდელი (შფოთვა და თავის არიდება) საქართველოში მიღებული მონაცემებისთვის მორგების საუკეთესო მაჩვენებელს ავლენდა ($\chi^2 = 621.432$, $df = 149$, $CFI = 0.902$, $TLI = 0.892$, $RMSEA = 0.062$, $SRMR = 0.051$.), ხოლო ერთ, სამ და ოთხ ფაქტორიანი მოდელები არ აღმოჩნდა ეფექტური. ეს შედეგები მიესადაგება ინგლისურ ვერსიაზე ჩატარებულ წინა კვლევებს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ECR-R-ის ქართული ვერსია არის ვალიდური ინსტრუმენტი მოზრდილთა მიჯაჭვულობის გასაზომად და შესაძლებელია მისი კვლევითი და პრაქტიკული მიზნებით საქართველოში გამოყენება.

საკვანძო სიტყვები: ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის რევიდირებული ვერსია (ECR-R), ქართული ვერსია, სანდოობა, ვალიდობა, ფაქტორული ანალიზი, ზრდასრულთა მიჯაჭვულობა

Abstract

This study aimed to adapt the Revised Experience in Close Relationships (ECR-R; Fraley et al., 2000) questionnaire into the Georgian language and evaluate its reliability, factor structure, and construct validity. After creating an initial Georgian version, expert reviewers assessed the cultural and linguistic appropriateness of the translation, and a pilot study was conducted on a small group (N = 49). The main study sample included 209 participants. Participants ranged in age from 18 to 65 years (M = 30.48, SD = 13.72), with 70.3% female and 28.7% male. To assess construct validity, several additional instruments were used: the General Trust Scale (YGTS; Yamagishi & Yamagishi, 1994), the Relationship Assessment Scale (RAS; Hendrick et al., 2011), and the Depression, Anxiety, and Stress Scales (DASS- 21; Lovibond & Lovibond, 1995). Internal consistency of the ECR-R subscales was assessed using Cronbach's alpha. The results indicated satisfactory reliability for both

dimensions: $\alpha = 0.79$ for Avoidance and $\alpha = 0.88$ for Anxiety. Construct validity analysis showed that higher levels of Avoidance and Anxiety were associated with lower relationship satisfaction, lower self-esteem, and lower general trust, as well as higher levels of depression, anxiety, and stress. In addition, Confirmatory Factor Analysis (CFA) showed that the two-factor model (Avoidance and Anxiety) had the best fit for the Georgian data ($\chi^2 = 621.432$, $df = 149$, CFI = 0.902, TLI = 0.892, RMSEA = 0.062, SRMR = 0.051). In contrast, one, three, and four-factor models showed poorer fit. These results are consistent with previous studies conducted on the English version. Therefore, it can be concluded that the Georgian version of the ECR-R is a valid and reliable instrument for assessing adult attachment and can be effectively used for both research and applied purposes in Georgia.

Keywords: Experience in close relationships revised (ECR-R), Georgian version, Reliability, Validity, Factor Analysis, Adult attachment

შესავალი

ინტერპერსონალური ურთიერთობები დიდი ხანია ფსიქოლოგიის კვლევის საგნად იქცა, მათი შესწავლის განუყოფელი ნაწილია ზრდასრულთა მიჯაჭვულობის ფორმა, რომელიც ასახავს იმას, თუ როგორ იქცევა ინდივიდი სხვებთან ურთიერთობაში.

ჯონ ბოულბის მიჯაჭვულობის თეორია (1969) დღეს ახლო ურთიერთობების კვლევის ერთ-ერთი მთავარი თეორიული საფუძველია. იგი მიჯაჭვულობას განსაზღვრავს, როგორც ხანგრძლივ ფსიქოლოგიურ კავშირს და გამოყოფს მის ოთხ ფორმას/სტილს: უსაფრთხო, ამბივალენტური, თავის არიდებისა და არაორგანიზებული. ბავშვობაში ჩამოყალიბებული მიჯაჭვულობა გავლენას ახდენს ზრდასრულ ასაკში ურთიერთობებზე, მათ შორის რომანტიკულ კავშირებზე (Bretherton, 1992).

ზრდასრულთა მიჯაჭვულობის შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ინსტრუმენტია ახლო ურთიერთობებში გამოცდილების კითხვარი (ECR), რომელიც ზომავს შფოთვისა და თავის არიდების ორ განზომილებას (Brennan et al., 1998). კითხვარის რევიდირებული ვერსია სანდო და ვალიდურია მრავალ კულტურულ კონტექსტში (მაგ. Favez et al., 2016). კულტურული ნორმები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მიჯაჭვულობის სტილს, ამიტომ აუცილებელია ECR-ის ადაპტაცია ისეთ ენებსა და გარემოში, როგორიცაა ქართული კონტექსტი- უნიკალური ღირებულებებით, ოჯახური ტრადიციებითა და თაობათაშორისი განსხვავებებით.

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს ახლო ურთიერთობებში გამოცდილების შესახებ კითხვარის რევიდირებული ვერსიის (ECR-R; Fraley et al., 2000) ვალიდაციას ქართულ ენაზე და მის მორგებას ქვეყნის პოპულაციაზე, მისი როგორც ენობრივი, ასევე, კულტურული შესაბამისობის შესწავლით. სტანდარტული თარგმანის, უკუთარგმნისა და ფსიქომეტრული შეფასების საშუალებით, კვლევის მიზანია ECR-R-ის ქართული ვერსიის ფაქტორული სტრუქტურის განსაზღვრა, მისი სანდოობისა და ვალიდობის დადგენა.

ECR - ის შექმნის ისტორია და თეორიული ჩარჩო

მიჯაჭვულობის თეორია თავდაპირველად ჯონ ბოულბიმ (1969) შეიმუშავა, შემდგომში კი მერი ეინსვორტმა განავითარა. თეორიის განახლებული ვერსია აღწერს, როგორ მოქმედებს ადრეულ ასაკში მიღებული ემოციური გამოცდილება ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე მთელი ცხოვრების განმავლობაში. ბავშვთა მიჯაჭვულობის კვლევის შემდეგ ყურადღება გადატანილია ზრდასრულთა კავშირებზე, სადაც აღმოჩნდა, რომ რომანტიკულ ურთიერთობებში ფიქსირდება ანალოგიური მიჯაჭვულობის სტილები. Fraley & Shaver (2000) ხაზს უსვამენ, რომ წყვილური მიჯაჭვულობის პროცესს იგივე ეტაპები და ინდივიდუალური განსხვავებები ახასიათებს, რაც ბოულბის მიერ აღწერილჩვილისა და მშობლის მიჯაჭვულობას.

ზრდასრულთა მიჯაჭვულობის შესაფასებლად შეიქმნა თვითშეფასების რამდენიმე სკალა: ზრდასრულთა მიჯაჭვულობის კითხვარი (Simpson et al., 1992), ზრდასრულთა მიჯაჭვულობის სკალა (Collins, 1996), მიჯაჭვულობის სტილის კითხვარი (Feeney & Noller, 1992) და ურთიერთობის სტილის კითხვარი (Griffin & Bartholomew, 2012). Brennan, Clark და Shaver-მა (1998) ამ კითხვარების 482 დებულება გადაარჩიეს, დატოვეს 323 და 1086 ადამიანზე (16-დან 50 წლამდე ასაკის) ჩატარებული კვლევის შედეგად, შეიმუშავეს 36-დებულებიანი კითხვარი-Experience in Close Relationships (ECR). ამ კვლევის ფარგლებში შემუშავებული სკალები გამოირჩევა მაღალი შიდა კონსისტენტურობით, ხოლო ექსპლორატორმა ფაქტორის ანალიზმა (EFA) აჩვენა, რომ ზრდასრულთა მიჯაჭვულობის სტრუქტურა ორი, თითქმის ორთოგონალური ფაქტორის ($r = .12$) გასწვრივ ორგანიზებულია: შფოთვა (ახლო ურთიერთობების შფოთვის და უარყოფის მიმართ ჰიპერ-სიფხიზლ) და თავიდან აცილება (სიახლოვის გამო უხერხულობას და პარტნიორთან დაახლოებისგან თავის შეკავებას). (Brennan, 1998).

ECR-დან ECR-R-მდე

ECR კითხვარი 2000 წელს განახლდა ფრეილის, უოლერისა და ბრენანის მიერ, რის შედეგადაც შეიქმნა ECR-R- ახლო ურთიერთობებში გამოცდილების შესახებ რევიდირებული ვერსია. მისი მიზანი იყო ფსიქომეტრული მახასიათებლების გაუმჯობესება და ინსტრუმენტის გამოყენების გაფართოება. თავიდან შეირჩა 36 დებულება საწყისი 323-იდან. ეს კითხვარი თავდაპირველ ორ ფაქტორზე გადანაწილდა- შფოთვა $\alpha = .94$, თავიდან არიდება $\alpha = .91$. ECR-R დღეს ითვლება ზრდასრულთა მიჯაჭვულობის ერთ-ერთ ყველაზე სანდო და ფართოდ გამოყენებულ საზომად (Fraley et al., 2000).

კვლევის მიზნები და ჰიპოთეზები

მოცემული ნაშრომის მიზანია საქართველოში რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის (ECR-R) ისეთი ქართული ვერსიის შექმნა, რომელიც შეინარჩუნებს ორიგინალი ვერსიის სანდოობას, ვალიდურობას და ფაქტორულ სტრუქტურას.

რაც შეეხება, კვლევის ჰიპოთეზებს, შემდეგია :

ჰიპოთეზა 1: საქართველოში მიჯაჭვულობის ძირითადი განზომილებები, როგორცაა შფოთვა და თავის არიდება, იქნება იმავე ფორმით გამოხატული, როგორც სხვა კულტურებში, თუმცა შესაძლოა, ეს განზომილებები მცირედ განსხვავდებოდეს სოციალური და კულტურული კონტექსტის გავლენით.

ჰიპოთეზა 2: რევიდირებული ახლო ურთიერთობებში გამოცდილების შესახებ კითხვარის ქართული ვერსიისთვის დადასტურდება მისი სანდოობა და ვალიდობა ქართულ პოპულაციაში.

კვლევის მეთოდი

კვლევის მონაწილეები

კვლევის მონაწილეები შეირჩნენ ხელმისაწვდომობის პრინციპით არაერთი სოციალური მედიის პლატფორმების(facebook, Instagram და სხვ.) მეშვეობით. კვლევაში იყო 209 მონაწილე ($M = 30.48$, $SD = 13.72$), რომელთა 70.3% ($N = 147$) იყო ქალი და 28.7% ($N = 60$)- კაცი, ხოლო 1 % - ს ($N=2$) არ სურდა სქესის მითითება; საშუალო ასაკი იყო 30.48 წელი ($SD = 13.72$), დიაპაზონში 18-დან 74 წლამდე.

რაც შეეხება რომანტიკულ ურთიერთობას, 61.7% - ს ($N = 129$) ჰყავდა რომანტიკული პარტნიორი, ხოლო 38.3% - ს ($N = 80$) ამჟამად არ ჰყავდა პარტნიორი.

რაც შეეხება, რესპოდენტთა განათლების დონე, უმრავლესობას (42.6%, $N = 89$) ჰქონდა მაგისტრის ხარისხი, 27.3% ($N = 57$) – სრული საშუალო განათლება (12 კლასი), 22.0% ($N = 46$) – დოქტორის ხარისხი, 6.7% ($N = 14$) – ბაკალავრის ხარისხი, ხოლო 1.4% ($N = 3$) – არასრული საშუალო განათლება.

პროცედურა

კვლევის ყველა ეტაპზე (პილოტირება, ექსპერტული შეფასება, ძირითადი კვლევა) გამოკითხვა ჩატარდა Google Forms-ის გამოყენებით. გამოკითხვის დაწყებამდე მონაწილეებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია კვლევის მიზნების, მისი ანონიმურობისა და ნებაყოფლობითობის შესახებ (იხილეთ დანართი N1). ასევე, პირველ კითხვაში მონაწილეები ადასტურებდნენ, რომ იყვნენ სრულწლოვნები (მინიმუმ 18 წლის) და თანხმობას აცხადებდნენ კვლევაში მონაწილეობაზე. დემოგრაფიულ ბლოკში მოცემული იყო კითხვები : ასაკის, სქესის, განათლების დონის და რომანტიკული ურთიერთობის სტატუსის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ მონაწილეს არასდროს ჰყოლია რომანტიკული პარტნიორი მივმართეთ თხოვნით არ შეევსოთ მოცემული კვლევა (უფრო დეტალურად მოცემული კითხვების სანახავად იხილეთ დანართი N2). ასევე, ყველა კითხვარის დასაწყისში მოცემული იყო შევსების ინსტრუქცია (ინსტრუქციები იხილეთ დანართი N3). აღსანიშნავია, რომ ახლო ურთიერთობების შესახებ რევიდირებულ კითხვარში ჩასმული იყო ერთი (23-ე) შეკითხვა ყურადღების შესამოწმებლად, რომელიც სთხოვდა მონაწილეებს მოენიშნათ კონკრეტული პასუხი (იხ. დანართი N4). თავდაპირველად გამოკითხვა შეავსო 296 რესპოდენტმა, თუმცა მათგან მხოლოდ 209-მ მიუთითა სწორი პასუხი ყურადღების კითხვაში, ამიტომ დანარჩენი 87 მონაცემი არ გამოვიყენეთ მონაცემების დამუშავებისას.

კვლევის ინსტრუმენტები

ECR-R (ახლო ურთიერთობებში გამოცდილებების შესახებ) კითხვარი მიზნად ისახავს მიჯაჭვულობის ორი განზომილების: შოფთვისა და თავის არიდების შეფასებას. შედგება 36 კითხვისგან, საიდანაც 18-18 კითხვა აფასებს თითოეულ განზომილებას. დებულება ფასდება 7 ბალიანი ლაიკერტის ტიპის სკალით, სადაც 1 ნიშნავს "სრულიად არ ვეთანხმები", ხოლო 7 - "სრულიად ვეთანხმები". თითოეული განზომილებისთვის და მთლიანობაში სკალისთვისაც ითვლება საშუალო ქულა.

კითხვარის ვალიდობის გადასამოწმებლად გამოყენებულია შემდეგი ინსტრუმენტები:

იამაგაშის ზოგადი ნდობის სკალა (Yamagishi General Trust Scale (YGTS); Yamagishi & Yamagishi, 1994) არის ლაკონური თვითშეფასების ინსტრუმენტი, რომელიც მოიცავს ექვს დებულებას და აფასებს ინდივიდის ზოგად რწმენას სხვების პატიოსნებისა და სანდოობის მიმართ. მონაწილეები პასუხობენ ლაიკერტის ტიპის სკალის გამოყენებით, როგორც წესი, 1 -დან (სრულად არ ვეთანხმები) 5-მდე (სრულად ვეთანხმები).

დეპრესიის, შოფთვისა და სტრესის სკალები - 21 (DASS-21; Lovibond & Lovibond, 1995) არის მოკლე თვითშეფასების ინსტრუმენტი მოიცავს 21 დებულებას, რომელიც შექმნილია დეპრესიის, შოფთვისა და სტრესის სიმპტომების სიმძიმის შესაფასებლად 17 წლის და ზემოთ ასაკის პირებში. სამი ქვესკალიდან თითოეული - დეპრესია, შოფთვა და სტრესი - შეიცავს შვიდ დებულებას და პასუხები ფასდება ოთხსაფეხურიანი ლაიკერტის სკალით, დაწყებული 0-დან (საერთოდ არ მახსიათებდა) 3-მდე (უმეტესწილად მახსიათებდა). DASS-21 ფართოდ გამოიყენება, როგორც კლინიკურ, ასევე, კვლევის პარამეტრებში, რათა შეაფასოს მიმდინარე ემოციური მდგომარეობა და დროთა განმავლობაში აკონტროლოს ცვლილებები.

ურთიერთობის შეფასების სკალა (RAS; Hendrick et al., 2011) არის ლაკონური, 7-დებულებიანი თვითშეფასების ინსტრუმენტი, რომელიც შემუშავებულია ახლო ურთიერთობისას ინდივიდის საერთო კმაყოფილების შესაფასებლად. თითოეული დებულება ფასდება 5=დონიან ლაიკერტის ტიპის სკალაზე, დაწყებული 1=დან (მაღალი კმაყოფილება) 5-მდე (მაღალი კმაყოფილება). უფრო მაღალი ქულა მიუთითებს ურთიერთობის უფრო მეტ კმაყოფილებაზე. ამ კითხვარმა აჩვენა მაღალი სანდოობა და ვალიდობა სხვადასხვა პოპულაციაში და ფართოდ გამოიყენება ურთიერთობის ხარისხის შესაფასებლად.

ქართული ვერსიის მომზადება

კვლევის პროცედურა შედგებოდა რამდენიმე ეტაპისგან. პირველ რიგში, მომზადდა კითხვარის სატესტო ვერსია ქართულ ენაზე. ორი დამოუკიდებელი ქართული თარგმანი მომზადდა კვლევის ავტორისა და კიდევ ერთი სტუდენტის მიერ, რომელიც კარგად ფლობდა ორივე ენას, ამასთან ერთად ჰქონდა ცოდნა ფსიქოლოგიაშიც. ამის შემდეგ, მოცემული თარგმანების

გამოყენებით მომზადდა პირველადი ქართული ვერსია, რომლის უკუთარგმანიც გაკეთდა და საბოლოო ცვლილებები შევიდა პირველად ვერსიაში.

შემდეგი ეტაპი იყო შინაარსობრივი ვალიდობის შემოწმება ექსპერტული შეფასებით. მონაწილეობა მიიღო ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის ოცმა სტუდენტმა და პროფესორმა. ისინი თითოეული დებულების მიხედვით უთითებდნენ, რას ფიქრობდნენ მოცემულ კითხვაზე (ზუსტი კითხვის სანახავად იხ.დანართი N 5). საბოლოოდ, გადაიხედა დებულებები, რომელზეც ექსპერტთა ნახევარმა, ან ნახევარზე მეტმა მიუთითა, რომ მასში იყო ხარვეზი ან საჭიროებდა ცვლილებას.

ამ პროცესის პარალელურად ჩატარდა კითხვარის პირველადი ვერსიის პილოტირებაც. პილოტირების პროცედურაში, მონაწილეობა მიიღო 50-მა პირმა, რომელთა ასაკი იყო 18-დან 45 წლამდე, შემოწმდა, ასევე, კითხვარისა და მისი ქვესკალების სანდოობის მაჩვენებლები. პილოტირების შემდეგ მიღებული შედეგები შეედარა ექსპერტული შეფასების შედეგებს და მათზე დაყრდნობით შეიქმნა კითხვარის საბოლოო ვერსია, შემდგომ კვლევაში გამოსაყენებლად.

სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით მონაცემთა სტატისტიკური მნიშვნელობის დასადგენად, კითხვარის სიზუსტისა და მისი ვარგისიანობის შესამოწმებლად ახალ ენობრივ და კულტურულ კონტექსტში გამოსაყენებლად. კრონბახის ალფა გამოვიყენეთ შიდა შეთანხმებულობის შესამოწმებლად, კითხვარის სანდოობის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, ექსპლორატორული ფაქტორული ანალიზი (EFA) და კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA) გამოვიყენეთ ცვლადებს შორის შესაძლო ურთიერთობების, დამოკიდებულებების გასაგებად და ფაქტორული სტრუქტურის შესამოწმებლად. კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი (CFA) ჩატარდა 1, 2, 3 და 4-ფაქტორიანი სტრუქტურებისთვის საუკეთესო მორგების დასადგენად. ანალიზის პირველი ნაწილი შედგებოდა სკალის ორიგინალური ორფაქტორიანი სტრუქტურის ტესტირებისგან (Fraley et al., 2000).

შედეგები

ნაშრომის ამ ნაწილში განხილულია რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის ვალიდაციის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე ჩატარებული სტატისტიკური ანალიზი და მისი შედეგები. მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამით - IBM SPSS Statistics 22 და R (version 4.4.2).

პილოტირების შედეგები

აღწერითი სტატისტიკა

შესაბამისი აღწერითი სტატისტიკით შეფასდა ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის რევიდირებული ვერსიის (ECR-R) ქვესკალებისა (შფოთვა და თავის არიდება) და მთლიანად ინსტრუმენტის სანდოობა და აღწერითი სტატისტიკა (თითოეული სკალისთვის მიღებული საშუალო მნიშვნელობები (M), სტანდარტული გადახრები (SD), დიაპაზონები, მონაწილეთა რაოდენობა (N) და კორნახის ალფა (α) მაჩვენებლები) წარმოდგენილია ცხრილი N1.

შფოთვის სკალის საშუალო მნიშვნელობა იყო 52.53 (SD = 20.79), მისი დიაპაზონი 18-108, ხოლო კორნახის ალფა 0.78. თავის არიდების სკალის საშუალო მნიშვნელობა 53.16 (SD = 16.79), დიაპაზონი 24-98 და კორნახის ალფა 0.82. მთლიანად ECR-R-ის სკალის საშუალო მნიშვნელობა იყო 105.69 (SD = 28.24), დიაპაზონი 42-200, ხოლო კორნახის ალფა 0.88.

შესაბამისად, მიღებული სანდოობის მაჩვენებლები აჩვენებს, რომ ინსტრუმენტი და მისი ქვესკალები შესაფერისია საქართველოსათვის და შესაძლებელია გამოვიყენოთ ზრდასრულთა მიჯაჭვულობის შესაფასებლად.

ცხრილი N1

ინსტრუმენტისა და მისი ქვესკალების აღწერითი სტატისტიკა და სანდოობის მაჩვენებლები

Scale	M	SD	დიაპაზონი	N	α
შფოთვის სკალა	52.5306	20.78972	18 – 108	49	0.78
თავის არიდების სკალა	53.1633	16.78708	24 – 98	49	0.82
ECR-R სრული	105.6939	28.23872	42-200	49	0.88

შენიშვნა: ცხრილში წარმოდგენილია საშუალო მნიშვნელობა (M), სტანდარტული გადახრა (SD), მონაწილეების რაოდენობა (N), დიაპაზონი და კორნახის ალფა (α) თითოეული სკალისთვის.

შეტანილი ცვლილებები

შინაარსობრივი ვალიდობისა (ექსპერტული შეფასების) და პილოტირების შემდეგ აღმოჩენილი პრობლემური დებულებები და კითხვარის რამდენიმე დებულების ფორმულირებაში შევიტანეთ ცვლილებები, ესენია : კითხვა N4, N6, N9, N13, N14, N18, N21.

ძირითადი კვლევის შედეგები

სანდოობის მაჩვენებლები

შიდა შეთანხმებულობა მაღალი იყო როგორც თავის არიდებისთვის (Cronbach-ის $\alpha = .89$), ასევე შფოთვისთვის (Cronbach-ის $\alpha = .88$). α -ები ოდნავ დაბალი იყო, ვიდრე ორიგინალი ვერსიის მაჩვენებელი ECR-R-ისთვის (მაგ., 0.94 შფოთვისთვის და 0.91 თავის არიდებისთვის. (Fraley et al., 2000)).

ახლო ურთიერთობების შესახებ გამოცდილებების ინსტრუმენტის შინაგანი კონსისტენტობის დადგენის მიზნით შევამოწმეთ ცალკეული ფაქტორების სანდოობა. ცხრილში N2 მოცემულია სანდოობის მაჩვენებლები (კრონბახის ალფა) ამ სკალის; მისი 2 განზომილების და დამატებითი სკალების, კერძოდ : იამაგაშის ზოგადი ნდობის სკალა (YGTS); დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სკალები - 21 (DASS-21); ურთიერთობის შეფასების სკალა (RAS).

ცხრილი N2

აღწერითი სტატისტიკა და შინაგანი შეთანხმებულობა სკალებისთვის

	საერთო (n=209)				კაცები (n=60)			ქალები (n=147)		
	N	A	M	SD	α	M	SD	α	M	SD
ECR-R შფოთვა	18	0.90	2.90	1.20	0.85	49.13	17.88	0.915	51.65	22.28
ECR-R თავის არიდება	18	0.79	3.10	0.82	0.84	54.92	15.99	0.859	52.38	16.79
ECR-R სრული	36	0.89	3.00	0.84	0.87	104.05	27.93	0.910	104.03	32.32
DASS	21	0.95	0.98	0.74	0.92	18.12	13.01	0.952	21.33	16.25
RAS	6	0.86	3.80	0.92	0.87	28.10	6.75	0.856	26.24	6.39
YGTS	7	0.87	2.60	0.83	0.84	16.33	4.72	0.872	15.63	5.06

შენიშვნა: ცხრილში წარმოდგენილია საშუალო მნიშვნელობა (M), სტანდარტული გადახრა (SD), სკალაში შემავალი დებულებების რაოდენობა (N) და კრონბახის ალფა (α) თითოეული სკალისთვის.

ფაქტორული ანალიზის შედეგები

ექსპლორატორული ფაქტორული ანალიზი

ფაქტორული ანალიზისთვის გამოვიყენეთ ძირითადი ღერძების ფაქტორული ანალიზი ვარიანსის როტაციით 209=კაციან შერჩევაზე. ექსპლორატორული ფაქტორული ანალიზის (EFA) მეშვეობით გამოიყო ორი ფაქტორი: პირველი ფაქტორი ასახავს მიჯაჭვულობის შფოთვის (PA1) განზომილებას, ხოლო მეორე ფაქტორი ასახავს მიჯაჭვულობისგან თავის არიდების (PA2) განზომილებას. (იხილეთ დანართი N 2)

პირველი ფაქტორი (PA1) ხსნის ცვალებადობის 21%-ს, ხოლო მეორე ფაქტორი (PA2) ხსნის 17%-

ს ცვლადობისას. ჯამურად კი ცვალებადობის 38%-ს. თითოეული ფაქტორით ახსნილი დისპერსიის პროპორცია იყო 56% PA1-ისთვის და 44% PA2-ისთვის. ამ ორ ფაქტორზე დებულებების დატვირთვა წარმოდგენილია ცხრილში N3.

ცხრილი N3

ფაქტორის დატვირთვები მიჯაჭვულობის შფოთვისა და მიჯაჭვულობისგან თავის არიდების ფაქტორებისთვის (N = 209)

დებულება	ფაქტორი N1	ფაქტორი N2
q1	0.61	-0.07
q2	0.77	0.05
q3	0.80	0.09
q4	0.84	0.04
q5	0.73	0.05
q6	0.77	0.04
q7	0.71	0.05
q8	0.80	0.12
q12	0.57	0.17
q13	0.55	0.16
q14	0.58	0.07
q15	0.65	0.24
q16	0.54	-0.04
q17	0.54	0.04
q18	0.33	0.13
q19	0.36	0.20
q21	0.30	-0.04
q23	0.30	0.25
q24	0.34	0.30
q32	0.40	0.31
q9	0.23	0.21
q10	0.05	0.49
q11	0.26	0.27
q20	0.02	0.63

დებულება	ფაქტორი N1	ფაქტორი N2
q22	-0.03	0.75
q25	-0.35	-0.19
q26	0.17	0.64
q27	0.14	0.70
q28	-0.02	0.80
q29	0.13	0.76
q30	-0.02	0.79
q31	-0.04	0.78
q33	0.11	0.38
q34	0.04	0.37
q35	0.14	0.59
q36	0.33	0.61

კონფირმატორული ფაქტორული ანალიზი

კონფირმატორული (CFA) ფაქტორული ანალიზის გამოყენებით ჩვენ პირველად შევამოწმეთ ორფაქტორიანი მოდელი, რომელიც შეესაბამება ორიგინალ სკალის სტრუქტურას, რომელიც შეერთებულ შტატებში ჩატარებული კვლევითაა მიღებული (შფოთვის განზომილება - 18 დებულება; თავის არიდება - 18 დებულება). შედეგები იხილეთ, ცხირლში N4..

მიღებულმა ინდექსებმა აჩვენა, რომ ორფაქტორიანი მოდელი (შფოთვა და თავის არიდება) ყველაზე უკეთ შეესაბამება მონაცემებს ($\chi^2 = 621.432$, $df = 149$, $CFI = 0.902$, $TLI = 0.892$, $RMSEA = 0.062$, $SRMR = 0.051$). $SRMR$ მნიშვნელობა 0.08-ზე დაბალია, რაც მიუთითებს კარგ შესაბამისობაზე, ხოლო $RMSEA$ -ს მნიშვნელობა 0.08-სთან ახლოსაა, რაც კვლავ ადეკვატურ შესაბამისობაზე მიანიშნებს. თუმცა, CFI და TLI დაახლოებით 0.90-ის ტოლია, რაც ოდნავ დაბალია სასურველ მაჩვენებელზე.

ამრიგად, შედეგები ადასტურებს, რომ ორფაქტორიანი მოდელი საუკეთესო შესაბამისობას ავლენს მონაცემებთან და წარმოადგენს თეორიულად და ემპირიულად გამართლებულ ფაქტორულ სტრუქტურას. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მონაწილეთა რაოდენობა ($N = 209$) შედარებით მცირეა CFA-სთვის, რაც შესაძლოა ნაწილობრივ ხსნიდეს CFI და TLI ინდექსების შედარებით დაბალ მაჩვენებლებს. მცირე შერჩევის შემთხვევაში, მოდელის შესაბამისობის მაჩვენებლები შეიძლება მერყეობდეს, ამიტომ მონაცემების ინტერპრეტაციისას საჭიროა სიფრთხილე.

ცხრილი N4

კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის მოდელის შესაბამისობის მაჩვენებლები ერთ, ორ, სამ და ოთხფაქტორიანი მოდელების შემთხვევაში

მოდელი	χ^2	df	CFI	TLI	RMSEA	SRMR
ერთფაქტორიანი მოდელი	917.764	151	0.604	0.552	0.156	0.167
ორფაქტორიანი მოდელი	621.432	149	0.902	0.892	0.062	0.051
სამფაქტორიანი მოდელი	1413.707	402	0.699	0.674	0.110	0.126
ოთხფაქტორიანი მოდელი	865.696	269	0.787	0.763	0.103	0.106

შენიშვნა: სტრუქტურული განტოლების მოდელირება (SEM) გამოიყენება ანალიზისთვის. CFI = შედარებითი შესაბამისობის ინდექსი; TLI = ტაკერ-ლუისის ინდექსი; RMSEA = მიახლოებითი კვადრატული ფესვის შეცდომის საშუალო; SRMR = სტანდარტიზებული კვადრატული ფესვის საშუალო ნარჩენი.

ალტერნატიული მოდელები

კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის (CFA) ფარგლებში, გარდა ჰიპოთეზირებული ორფაქტორიანი მოდელისა, შეფასდა რამდენიმე ალტერნატიული მოდელიც (იხ. ცხრილი N5). პირველ რიგში, ერთფაქტორიანი მოდელი, რომელიც ყველა დებულებას ერთ საერთო ფაქტორში, მიჯაჭვულობაში, აერთიანებდა. შესაბამისობის ინდექსებმა აჩვენა, რომ ეს მოდელი მონაცემებთან უკიდურესად ცუდ შესაბამისობაში იყო ($\chi^2 = 917.764$, $df = 151$, $CFI = 0.604$, $TLI = 0.552$, $RMSEA = 0.156$, $SRMR = 0.167$), რაც მიანიშნებს, რომ ის არ ასახავს ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის რევიდირებული ვერსიის (ECR-R) ფაქტორულ სტრუქტურას.

შემდეგ ეტაპზე შეფასდა სამფაქტორიანი მოდელი ($\chi^2 = 1413.707$, $df = 402$, $CFI = 0.699$, $TLI = 0.674$, $RMSEA = 0.110$, $SRMR = 0.126$). მიუხედავად იმისა, რომ RMSEA და SRMR მაჩვენებლები შედარებით გაუმჯობესებული იყო, მოდელი არ წარმოადგენდა მნიშვნელოვნად უკეთეს ალტერნატივას.

ოთხფაქტორიანი მოდელის ანალიზმა ($\chi^2 = 865.696$, $df = 269$, $CFI = 0.787$, $TLI = 0.763$, $RMSEA = 0.103$, $SRMR = 0.106$) აჩვენა ოდნავ გაუმჯობესებული შესაბამისობა, თუმცა ეს მოდელი შეიცავდა რამდენიმე ფაქტორს, რომლებსაც მხოლოდ დაბალი მაჩვენებლები ჰქონდათ, რაც თეორიულად ვერ საბუთდებოდა.

საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ სამფაქტორიანი და ოთხფაქტორიანი მოდელებს გარკვეული გაუმჯობესებული ინდექსები ჰქონდათ, არც ერთი მათგანი არ აჩვენებდა ორფაქტორიანი მოდელზე უკეთეს მონაცემებთან შესაბამისობას. შესაბამისად, მიღებული მიგნებები ადასტურებს, რომ შფოთვა და თავის არიდება ემოციური მიჯაჭვულობის ძირითად განზომილებებს წარმოადგენენ და საუკეთესოდ აღწერენ სკალის სტრუქტურას.

კორელაციური ანალიზის შედეგები და ვალიდობა

კვლევის ცვლადებს შორის კავშირის შესაფასებლად გამოყენებულია პირსონის r კორელაციის კოეფიციენტი. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციები ასახულია ცხრილში 5.

ცხრილი N5

კორელაციები განახლებულ ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარს, მის ქვესკალებსა და დამატებით გამოყენებულ ინსტრუმენტებს შორის

სკალა	ECR-R Anxiety	ECR-R Avoidance	ECR-R DASS	YGTS RAS
RAS	-.640**	-.532**	-.712**	-.360** .155*
YGTS	-.086	-.146*	-.135	-.191** -
DASS	.471**	.252**	.451**	-
ECR-R	.872**	.781**	-	
ECR-R Avoidance	.376**	-		
ECR-R Anxiety	-			

შენიშვნა: * $p \leq .05$, ** $p \leq .01$.

კონსტრუქტული ვალიდობის შეფასებამ აჩვენა, რომ ყველა მოლოდინი გამართლდა. შფოთვისა და თავის არიდების სკალების შედეგები და მათი კავშირი ისეთ ცვლადებთან, როგორიცაა ურთიერთობებით კმაყოფილება, დეპრესია, შფოთვა და სტრესი, შეესაბამება თეორიულ ჩარჩოს. ყველა აღნიშნული კავშირი იყო მნიშვნელოვანი, შესაბამისი მიმართულებით.

შეფასებამ აჩვენა, რომ შფოთვის სკალის უფრო მაღალი დონეები დაკავშირებულია დაბალი ურთიერთობების კმაყოფილებასთან (RAS: $r = -.640$, $p < .01$) და ზოგად ნდობასთან (YGTS: $r = -.086$, $p = .52$). შფოთვა ასევე ასოცირდება მაღალი დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის დონეებთან (DASS: $r = .471$, $p < .01$), რაც იძლევა მტკიცებულებას, რომ შფოთვის განზომილება უარყოფით კავშირშია ფსიქოლოგიურ კეთილდღეობასთან.

კონსტრუქტული ვალიდობის მიხედვით, თავის არიდების სკალის მაღალი დონეები დაკავშირებულია დაბალ ურთიერთობების კმაყოფილებასთან (RAS: $r = -.532$, $p < .01$) და ზოგად ნდობასთან (YGTS: $r = -.146$, $p < .05$). როგორც შფოთვის შემთხვევაში, ასევე თავის არიდების დონეების ზრდა ასოცირდება მაღალი დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის დონეებთან (DASS: $r = .252$, $p < .01$).

მთლიანი ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის რევიდირებული ვერსიის (ECR-R) შედეგებმა აჩვენა, რომ უფრო მაღალი დონის შფოთვა და თავის არიდება დაკავშირებულია დაბალ ურთიერთობების კმაყოფილებასთან (RAS: $r = -.712$, $p < .01$), ასევე მაღალ დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის დონეებთან (DASS: $r = .451$, $p < .01$). გარდა ამისა, მთლიანი ECR-R სკალა უარყოფითად ასოცირდება ზოგად ნდობასთან (YGTS: $r = -.135$, $p = .32$), რაც მოიცავს როგორც შფოთვის, ისე თავის არიდების განზომილებებს.

დისკუსია

ამ კვლევის შედეგებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის (ECR-R) ქართული ვერსიის სანდოობის, ვალიდობისა და ფაქტორული სტრუქტურის შესახებ. ექსპლორატორული ფაქტორული ანალიზის (EFA) და კონფირმატორული ფაქტორული ანალიზის (CFA) შედეგებით გამოვლინდა, რომ ქართულ ვერსიას, ორიგინალის მსგავსად, აქვს ორფაქტორიანი სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შფოთვისა და თავის არიდების განზომილებებს. ამასთან, შემოწმდა სხვა მოდელებიც (1, 3, 4), თუმცა, მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, რომ საუკეთესო შესაბამისობა მაინც ორფაქტორიან მოდელს ჰქონდა. ეს შედეგები შეესაბამება ფრალეისა და მისი კოლეგების (2000) მიერ წარმოდგენილ ორიგინალ სტრუქტურას, რაც მიუთითებს, რომ ქართული ვერსია არის შესაფერისი ინსტრუმენტი ზრდასრულთა მიჯაჭვულობის შესაფასებლად. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის ფარგლებში შეფასდა მხოლოდ ფაქტორული სტრუქტურა და, შესაბამისად, მხოლოდ კონფირმაციულ ინვარიანტულობაზე შეგვიძლია დასკვნის გამოტანა. იმ მიზნით, რომ ინსტრუმენტის გამოყენება ჩაითვალოს კულტურულად ადეკვატურად, მნიშვნელოვანია შეფასდეს ინვარიანტულობის სხვა ტიპებიც.

ამასთან ერთად, ქართული ვერსია აღმოჩნდა სანდო და ვალიდური ინსტრუმენტი. შინაგანი შეთანხმებულობის ანალიზმა (Cronbach-ის α) აჩვენა, რომ ორივე ფაქტორის სანდოობა მაღალი იყო (თავის არიდებისთვის $\alpha = .89$, შფოთვისთვის $\alpha = .88$), რაც შედარებით ახლოსაა ორიგინალური სკალის მაჩვენებლებთან (შფოთვისთვის $\alpha = .94$, თავიდან აცილებისთვის $\alpha = .91$). თუმცა, ქართული ვერსიის შედარებით დაბალი სანდოობის მაჩვენებლები შესაძლოა აიხსნას კულტურული განსხვავებებით, რომლებიც გავლენას ახდენს შფოთვისა და თავის არიდების განზომილებების აღქმაზე.

მიღებული შედეგები ადასტურებს ინსტრუმენტის კონსტრუქტულ ვალიდობას: შფოთვა და თავის არიდება მნიშვნელოვნად კორელირებდნენ ისეთ ფსიქოლოგიურ კონსტრუქტებთან, როგორიცაა ურთიერთობების კმაყოფილება, ნდობა და ემოციური კეთილდღეობა. შფოთვისა და თავის არიდების უფრო მაღალი მაჩვენებლები დაკავშირებული იყო უფრო დაბალ ნდობასთან და ურთიერთობების კმაყოფილებასთან, ასევე, უფრო მაღალ დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის დონეებთან.

შეზღუდვები, ალტერნატიული ახსნები და მომავალი კვლევის პერსპექტივა

მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველი კითხვარის მსგავსად, ორფაქტორიანი სტრუქტურა დადასტურდა ქართული ვერსიის შემთხვევაშიც, ინდივიდუალური დებულებები განსხვავებულად განაწილდა ფაქტორებზე, რაც შესაძლოა მიუთითებდეს კულტურულ თავისებურებებზე. კერძოდ, ზოგიერთი დებულება, რომელიც თავდაპირველ კვლევებში შფოთვის კომპონენტად იყო მიჩნეული, ქართულ კონტექსტში თავის არიდების კომპონენტის

შესაფერისი უფრო აღმოჩნდა. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ქართულ კულტურაში მიჯაჭვულობის შფოთვითი ასპექტები შესაძლოა განსხვავებული ფორმით ვლინდებოდეს და ზოგიერთ შემთხვევაში თავდაცვითი, თავის არიდების სტრატეგიებით გამოვლინდებოდეს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, ჩატარდეს დავალებაზე პასუხის თეორიის (IRT) გამოყენებით. ამ კვლევაში ვეღარ მოხერხდა ამ ფსიქომეტრიული სტატისტიკური ანალიზის მეთოდის გამოყენება, მონაწილათა არასაკმარისი რაოდენობის გამო. მომავალში უფრო დიდ შერჩევაზე აღნიშნული მეთოდის გამოყენება, დაეხმარება კითხვარის დახვეწასა და უფრო ზუსტი დებულებების იდენტიფიცირებაში.

ამასთან ერთად, ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა იყო მონაწილეთა ჰომოგენურობა და სქესთა შორის არათანაბარი გადანაწილება. კვლევაში მონაწილეთა უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონე პირები იყვნენ, რაც შესაძლოა ზღუდავდეს შედეგების განზოგადებას უფრო ფართო პოპულაციაზე. ასევე, ასაკსაც არ ჰქონდა ნორმალური განაწილება. კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფები წარმოადგენდა უმრავლესობას. მომავალი კვლევებისთვის კარგი იქნება, რაც შეიძლება მეტი განსხვავებული ასაკისა და განათლების მქონე ადამიანმა მიიღოს მონაწილეობა და უფრო თანაბრად იყოს განაწილებული ყველა ასაკი და სხვადასხვა განათლების მქონე ადამიანები, რათა უფრო კარგად აღიწეროს მთელი საქართველოს პოპულაცია.

კიდევ ერთი შეზღუდვა, რომელიც ფსიქოლოგიის სფეროში კვლევებში საკმაოდ ხშირია, არის თვითადმინისტრირებადი კითხვარების გამოყენება, რამაც შეიძლება ექვეყნებ დააყენოს რამდენად რეალური ინფორმაცია მოგვაწოდა რესპოდენტმა. აქედან გამომდინარე, მომავალისთვის უმჯობესი იქნება გრძელვადიანი კვლევის ჩატარება, რესპოდენტების მიჯაჭვულობის დროში მდგრადობის შესამოწმებლად, სადაც გამოჩნდება მოცემული კითხვარის ქართული ვერსიის ვარგისიანობა.

ბოლოს, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ კვლევის ჩატარების მომენტში საქართველოში მძიმე პოლიტიკური ვითარება იყო, რაც სავარაუდოდ გავლენას ახდენდა ზოგადი ნდობის მაჩვენებელზე. მიუხედავად იმისა, რომ ნდობის სკალის სანდოობა მისაღები აღმოჩნდა, აუცილებელია, რომ შედეგები კონტექსტუალურად იქნას გაანალიზებული—ამ პერიოდში ადამიანთა საერთო ნდობის დონე შესაძლოა ხელოვნურად შემცირებული ყოფილიყო. ამით შეიძლება აიხსნას კორელაციური ანალიზის შედეგები ნდობასთან მიმართებაში. შესაძლებელია, რომ პოლიტიკური ფონის გავლენამ არ მოგვცა ადეკვატური ნდობის მაჩვენებლები, რის გამოც კორელაცია ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვართან და მის შფოთვის ქვესკალასთან არ იყო სტატისტიკურად არსებითი.

ამ კვლევის მიზანი იყო რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის (ECR-R) ქართული ვერსიის სანდოობისა და ვალიდობის შემოწმება და მისი ფსიქომეტრიული მახასიათებლების შეფასება. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ორივე ჰიპოთეზა დადასტურდა:

1. **ჰიპოთეზა 1** – საქართველოში მიჯაჭვულობის ძირითადი განზომილებები, შფოთვა და თავის არიდება, გამოვლინდა იმავე ფორმით, როგორც სხვა კულტურებში. ზოგიერთ დებულებას განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა ქართულ პოპულაციაში, რაც შეიძლება მიუთითებდეს კულტურულ სპეციფიკაზე.
2. **ჰიპოთეზა 2** – საქართველოში მიჯაჭვულობის ძირითადი განზომილებები, შფოთვა და თავის არიდება, გამოვლინდა იმავე ფორმით, როგორც სხვა კულტურებში. ზოგიერთ დებულებას განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა ქართულ პოპულაციაში, რაც შეიძლება მიუთითებდეს კულტურულ სპეციფიკაზე. ECR-R-ის ქართული ვერსია გამოირჩეოდა მაღალი სანდოობითა (Cronbach-ის α შფოთვისთვის = .88, თავის არიდებისთვის = .89) და ვალიდობით, რაც ადასტურებს ინსტრუმენტის გამოყენებადობას ქართულ პოპულაციაში.

ეს კვლევა მნიშვნელოვნად ავსებს ზრდასრულთა მიჯაჭვულობის თეორიულ ცოდნას ქართულ კონტექსტში და აძლიერებს მოცემული კითხვარის კულტურათაშორის ვალიდაციას. მიღებული შედეგები მიუთითებს, რომ ადაპტირებული ინსტრუმენტი საიმედოდ აფასებს ზრდასრულთა მიჯაჭვულობას.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევამ წარმატებით დაადასტურა კითხვარის სანდოობა და ვალიდობა, რამდენიმე შეზღუდვა მაინც უნდა აღინიშნოს: **შერჩევის ჰომოგენურობა, ფაქტორებზე დებულებების განაწილება, სოციო-პოლიტიკური კონტექსტის გავლენა.**

რეკომენდაციები მომავალი კვლევებისთვის

- **დავალბაზე პასუხის თეორიის (IRT) გამოყენება** – IRT-ის მეთოდოლოგიის გამოყენება მნიშვნელოვანი იქნება რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის (ECR-R) ქართული ვერსიის შემდგომი დახვეწისთვის და უფრო ზუსტად პრობლემური დებულებების იდენტიფიცირებისთვის.
- **განსხვავებული სოციალური და კულტურული ჯგუფების შესწავლა** – აუცილებელია ინსტრუმენტის ვალიდაცია სხვადასხვა ასაკობრივ და სოციალური ჯგუფებში, რათა გაიზარდოს მისი განზოგადებადობა.
- **გრძელვადიანი კვლევები** – დროში მდგრადობის შესაფასებლად საჭირო იქნება ECR-R-ის განმეორებითი ტესტირება სხვადასხვა დროით შუალედებში.

ამგვარად, კვლევამ დაადასტურა რევიდირებული ახლო ურთიერთობების შესახებ კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრიული სანდოობა, თუმცა სასურველია დამატებითი კვლევების ჩატარება, რათა კითხვარის ადაპტაციის პროცესი დასრულებულად ჩაითვალოს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Bartholomew, K., & Horowitz, L. M. (1991). Attachment styles among young adults: A test of a four-category model. *Journal of Personality and Social Psychology*, 61(2), 226–244. <https://doi.org/10.1037/0022-3514.61.2.226>
- Brennan, K. A. (1998). Self-Report Measures of Adult Attachment: An Integrative Overview. A. Simpson & W. S. Rholes (Eds.), *Attachment Theory and Close Relationships* (Pp. 46-76). New York: Guilford Press.
- Bretherton, I. (1992). The Origins of Attachment Theory: John Bowlby and Mary Ainsworth. <https://doi.org/10.1037/0012-1649.28.5.759>
- Busonera, A., Martini, P. S., Zavattini, G. C., & Santona, A. (2014). Psychometric Properties of an Italian Version of the Experiences in Close Relationships-Revised (ECR-R) Scale. *Psychological Reports*, 114(3), 785–801. <https://doi.org/10.2466/03.21.PR0.114k23w9>
- Collins, N. L. (1996). Working models of attachment: Implications for explanation, emotion, and behavior. *Journal of Personality and Social Psychology*, 71(4), 810–832. <https://doi.org/10.1037/0022-3514.71.4.810>
- Dupont, K., Gervai, J., Danis, I., Tóth, I., Koren, R., & Török, S. (2022). Factor Structure, Psychometric Properties, and Validation of the Hungarian Version of the Experiences in Close Relationships Revised (ECR-R-HU) Questionnaire in a Nationally Representative Community Sample. *Journal of Personality Assessment*, 104(6), 747–758. <https://doi.org/10.1080/00223891.2021.2019054>
- Favez, N., Tissot, H., Ghisletta, P., Golay, P., & Cairo Notari, S. (2016). Validation of the French Version of the Experiences in Close Relationships– Revised (ECR-R) Adult Romantic Attachment Questionnaire. *Swiss Journal of Psychology*, 75(3), 113–121. <https://doi.org/10.1024/1421-0185/a000177>
- Feeney, J. A., & Noller, P. (1992). Attachment style and romantic love: Relationship dissolution. *Australian Journal of Psychology*, 44(2), 69–74. <https://doi.org/10.1080/00049539208260145>
- Fraley, R. C., & Shaver, P. R. (2000). Adult Romantic Attachment: Theoretical Developments, Emerging Controversies, and Unanswered Questions. <https://doi.org/10.1037/1089-2680.4.2.132>
- Fraley, R. C., Waller, N. G., & Brennan, K. A. (2000). An item response theory analysis of self-report measures of adult attachment. *Journal of Personality and Social Psychology*, 78(2), 350–365. <https://doi.org/10.1037/0022-3514.78.2.350>
- Griffin, D. W., & Bartholomew, K. (2012). Relationship Scales Questionnaire [Dataset]. <https://doi.org/10.1037/t10182-000>

- Hambleton, R. K., Merenda, P. F., & Spielberger, C. D. (2004). Adapting Educational And Psychological Tests for Cross-Cultural Assessment. University of Massachusetts at Amherst. [http://lst-iiiep.iiiep-unesco.org/cgi-bin/wwwi32.exe/?in=epidoc1.in/?t2000=023789/\(100\).](http://lst-iiiep.iiiep-unesco.org/cgi-bin/wwwi32.exe/?in=epidoc1.in/?t2000=023789/(100).)
- Hendrick, S. S., Dicke, A., & Hendrick, C. (2011). Relationship Assessment Scale [Dataset]. <https://doi.org/10.1037/t00437-000>
- Kooiman, C. G., Klaassens, E. R., Van Heloma Lugt, J. Q., & Kamperman, A. M. (2013). Psychometrics and Validity of the Dutch Experiences in Close Relationships–Revised (ECR–r) in an Outpatient Mental Health Sample. *Journal of Personality Assessment*, 95(2), 217–224. <https://doi.org/10.1080/00223891.2012.740540>
- Lovibond, P. F., & Lovibond, S. H. (1995). The structure of negative emotional states: Comparison of the Depression Anxiety Stress Scales (DASS) with the Beck Depression and Anxiety Inventories. *Behaviour Research and Therapy*, 33(3), 335–343. [https://doi.org/10.1016/0005-7967\(94\)00075-U](https://doi.org/10.1016/0005-7967(94)00075-U)
- Ritesh Mehta Kumar. (2022). Assessing the Psychometric Properties of Hindi version of Experiences in Close Relationships – Revised (ECR-R) scale. *Indian Journal of Forensic Medicine & Toxicology*, 16(4), 402–406. <https://doi.org/10.37506/ijfmt.v16i4.18651>
- Simpson, J. A., Rholes, W. S., & Nelligan, J. S. (1992). Adult Attachment Questionnaire [Dataset]. <https://doi.org/10.1037/t41804-000>
- Wiśniewski, C. (2016). KATARZYNA LUBIEWSKA KAROLINA GŁOGOWSKA KINGA MICKIEWICZ EWA WOJTYNKIEWICZ PAWEŁ IZDEBSKI. <https://doi.org/10.4467/20843879PR.16.004.4793>.
- Yamagishi, T., & Yamagishi, M. (1994). Trust and commitment in the United States and Japan. *Motivation and Emotion*, 18(2), 129–166. <https://doi.org/10.1007/BF02249397>

დანართი

დანართი N1

კვლევის დასაწყისში მოცემული ინფორმაცია
მოგესალმებით!

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს რომანტიკული ურთიერთობების გამოცდილების საკვლევი კითხვარის ვალიდაცია ქართულ ენაზე. კვლევა ტარდება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში.

კვლევაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია. გამოკითხვა ანონიმურია და თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია გამოყენებული იქნება მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების დამუშავებისთვის.

გთხოვთ, გულწრფელად უპასუხოთ დასმულ კითხვებს. გახსოვდეთ, რომ არ არსებობს სწორი, ან არასწორი პასუხი. კითხვებზე საპასუხოდ დაგჭირდებათ დაახლოებით, 20-25 წუთი.

თქვენი წვლილი მნიშვნელოვანია!
მადლობას გიხდით მონაწილეობისთვის!

დანართი N2

დემოგრაფიული ბლოკის კითხვები

1. ვადასტურებ, რომ ვარ მინიმუმ 18 წლის, გაცეცანი ინფორმაციას გამოკითხვის შესახებ და თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო ანონიმურ გამოკითხვაში.
 - 1 - დიახ
 - 2 - არა
2. მიუთითეთ თქვენი სქესი:
 - 1 - მდედრობითი
 - 2 - მამრობითი
 - 3 - არ მსურს პასუხის გაცემა
3. მიუთითეთ თქვენი ასაკი: (ღია კითხვა)
4. მიუთითეთ თქვენს მიერ მიღწეული განათლების უმაღლესი დონე:
 - 1 - საბაზო განათლება (9 კლასი)
 - 2 - საბაზო განათლება (12 კლასი)
 - 3 - პროფესიული განათლება
 - 4 - უმაღლესი განათლება (ბაკალავრი)
 - 5 - უმაღლესი განათლება (მაგისტრი)
 - 6 - უმაღლესი განათლება (დოქტორი)
5. მონიშნეთ თქვენი რომანტიკული ურთიერთობის სტატუსი: (იმ შემთხვევაში, თუ მონიშნეთ "2- არასოდეს მყოფია რომანტიკული პარტნიორი, გთხოვთ არ შეავსოთ კვლევა, მადლობას გიხდით დაინტერესებისთვის!)
 - 1 - მყავს რომანტიკული პარტნიორი

- 2 - არასოდეს მყოფია რომანტიკული პარტნიორი
- 3 - ამჟამად არ მყავს რომანტიკული პარტნიორი

დანართი N 3

კვლევაში ინსტრუმენტების შესავსებად მოცემული ინსტრუქციები

დანართი N 3.1

ახლო ურთიერთობებში გამოცდილების შესახებ კითხვარის რევიდირებული ვერსიის ინსტრუქცია
გთხოვთ, ქვემოთ მოცემული დებულებების გასწვრივ მიუთითოთ, თუ რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით კონკრეტულ დებულებას შვიდბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავს სრულიად არ დათანხმებას, ხოლო 7 სრულიად დათანხმებას. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, თუ ამჟამად არ იმყოფებით ურთიერთობაში, შეიძლება მოგიწიოთ ფიქრი წარსულ გამოცდილებაზე. შეგხვდებათ კითხვები, სადაც გამოყენებულია რომანტიკული პარტნიორის მრავლობითი ფორმა, ასეთ შემთხვევაში, დებულება შეეხება თქვენს ზოგად სტილს ურთიერთობებში.

დანართი N 3.2

იამაგაშის ზოგადი ნდობის სკალის ინსტრუქცია

გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ ქვემოთ მოცემული თითოეული დებულება და მონიშნოთ რამდენად ეთანხმებით თითოეულ მათგანს:

დანართი N 3.3

დეპრესიის, შფოთვისა და სტრესის სკალები - 21- ის ინსტრუქცია

გთხოვთ, წაიკითხოთ ქვემოთ მოცემული დებულებები და შეაფასოდ, რამდენად ხშირად გახასიათებდათ აღწერილი პრობლემები გასული კვირის განმავლობაში. გახსოვდეთ, აქ არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხი, ამიტომ, შეავსეთ სწრაფად და პასუხზე დიდხანს არ იფიქროთ. შეფასებისას გამოიყენეთ 0-დან 3-მდე სკალა, სადაც ქულებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობები:

0 - საერთოდ არ მახასიათებდა

1 - გარკვეულწილად მახასიათებდა

2 - მნიშვნელოვანწილად მახასიათებდა

3 - უმეტესწილად მახასიათებდა.

დანართი N 3.4

ურთიერთობის შეფასების სკალის ინსტრუქცია

გთხოვთ, 1-იდან 5-მდე სკალაზე შეარჩიოთ მოცემულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შესაფერისი ციფრი 1- ძალიან დაბალ მაჩვენებელზე მიუთითებს, ხოლო 5 ძალიან მაღალზე.

დანართი N 4

ახლო ურთიერთობების შესახებ რევიდირებულ კითხვარში მოცემული ყურადღების შესამოწმებელი შეკითხვა

23. მონიშნეთ 3 - ნაწილობრივ არ ვეთანხმები

მიუთითეთ რას ფიქრობთ მოცემულ დებულებაზე :

- 7 - გაურკვეველია, შეიძლება ჰქონდეს ერთზე მეტი მნიშვნელობა
- 8 - არაფერი მაქვს ამ დებულების საწიმაღმდეგო
- 9 - ეს დებულება შესაცვლელია
- 10 - ეს დებულება აღწერს სოციალურად სასურველ ქცევას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პასუხზე.
- 11 - ეს დებულება აღწერს სოციალურად არასასურველ ქცევას, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს პასუხზე.

დანართი N 5

ECR-R -ის ორ განზომილებაზე დებულებების გადანაწილება ექსპლორატორული ფაქტორული ანალიზის შედეგად:

Factor Analysis

